


სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები



სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების, ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია და მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებლად.

კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებთან (სასწავლო პროცესის და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი და პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, იურისტი, ადამიანურ რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი) და პროგრამების ხელმძღვანელებთან / პროგრამის განმახორციელებლებთან კოორდინირებული თანამშრომლობით.

დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხზე განვითარებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების განვითარებისა და ახალი პროგრამების დანერგვის მიზნით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს „შიდა მონიტორინგის ჯგუფი“ და „შეფასების ვერიფიკაციის ჯგუფი“, რომლის საქმიანობა და სამოქმედო გეგმა გაწერილია კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებით.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია „დაგეგმე-განხორციელებ-შეაფასე-განავითარე“ მოდელზე.

სწავლების ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები:

სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი დაგეგმე; განახორციელე; შეამოწმე; განავითარე ხორციელდება შემდეგი აქტივობებით



1.1. დაწესებულების სამოქმედო გეგმაში, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, იწერება ჩასატარებელი ღონისძიებები, ვადები, შესრულების შეფასების მტკიცებულებები და განმახორციელებლები;

1.2. დამსაქმებლის საჭიროებისა და დაწესებულების შესაძლებლობების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების შერჩევა და დამატება ხდება ხარისხის სამსახურის ინიცირებით;

1.3. სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების სასწავლო გეგმების საფუძველზე შემუშავებული კალენდარული გეგმების შესაბამისად, რომელთაც ამოწმებს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი.

1.4. პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება (საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება) ხორციელდება კოლეჯის შიდა რესურსითა (ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე) და მაკონტროლებელ ორგანოთა მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მათი მაქსიმალური ჩართულობით;

1.5. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, იწერება ახალი მექანიზმები; შშმ/სსსმ პირებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირი არის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი;

1.6. პარტნიორ დამსაქმებლებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირია კოლეჯის პროფორინტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც სისტემატიურად ახორციელებს დამსაქმებლების საჭიროებების კვლევას და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას კარიერული განვითარების კუთხით;



სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადასხვა ტიპის აქტივობებით;

2.1. სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი მაზადებს საგაკვეთილო და შეფასების პროცესზე დასწრების გეგმას „შიდა მონიტორინგის ჯგუფის“ წევრების ჩართულობით.

2.2. გეგმიური დასწრების შედეგები აიხასება გაკვეთილზე დასწრების კითხვარში, რომლის ანალიზის შედეგად ხარისხის მართვის მენეჯერი გასცემს რეკომენდაციებს.

2.3. სასწავლო მოდულის მიმდინარეობის თაობაზე პროგრამის განმახორციელებელთა გამოკითხვა ხდება სპეციალური კითხვარის გამოყენებით სასწავლო მოდულების მიმდინარეობის და/ან დასრულების შემდეგ შერჩევით;

2.4. სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ხდება სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების შესაბამისად;

2.5. მოდულის განმახორციელებლების მიერ სწავლებისა და შეფასების მაღალი სტანდარტებით განხორციელების მიზნით, ხორციელდება სწავლის შედეგების სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება. ვალიდატორი შეიძლება იყოს შესაბამისი ცოდნა-უნარების მქონე სხვა პროფესიული მასწავლებელი (ადგილობრივი ან მოწვეული), რომელიც რეკომენდაციებს ასახავს კოლეჯში შემუშავებულ შეფასების ვალიდაციის ფორმაში.

2.6. სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერისა და/ან სტუდენტური სერვისების მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა ტიპის წამახალისებელი აქტივობებით;

2.7. პრაქტიკული სწავლების მაღალ დონეზე ორგანიზება ხდება სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით;

2.8. პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების, განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების ხელსეწყობა ხორციელდება კარიერიერისა და პროფორიენტაციის მენეჯერის ჩართულობით.



სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას.

3.1. საგაკვეთილო პროცესის შემოწმება ხორციელდება სასწავლო მოდულების მეცადინეობებზე დასწრებით და გაკვეთილზე დასწრების კითხვარის ანალიზით;

3.2. შეფასების სისტემის შემოწმება ხორციელდება კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით შექმნილი „შეფასების ვერიფიკაციის ჯგუფის“ მიერ ვერიფიკაციის მექანიზმების გამოყენებით

3.3 პროფესიული მასწავლებლების საქმიანობა მოწმდება პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული მასწავლებლების შეფასებით და შედეგების ანალიზით. (ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი);

3.5 პროფესიული მასწავლებლების რეფლექსია მოწმდება შემუშავებული მასწავლებლის კითხვარის გამოყენებით (ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი);

3.6. კურსდამთავრებულთა კმაყოფილება ფასდება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კითხვარით, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ კურსდამთავრებულთა სპეციალური კითხვარების საშუალებით და ანალიზით;

3.7. დამსაქმებლების გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევით და ანალიზით, ასევე პერიოდულად დასაქმების სტატისტიკის წარმოებით.



ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ეს შეიძლება იყოს:

4.1. ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები პედაგოგებთან სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით (ხარისხის მართვის მენეჯერი);

4.2. არსებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების ინიცირება, რეკომენდაციების გაცემა პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფისთვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად;

4.3. გამოკითხვების / კვლევის ანალიზის შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესის/პროგრამების გასაუმჯობესებლად (ხარისხის მართვის მენეჯერი);

ცალკეული აქტივობების განსახორციელებლად გამოყენებულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული კოლეჯის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანილი კითხვარები.

მეცადინეობებზე დასწრების, კითხვარების ფორმების დამტკიცება არ არის სავალდებულო. ცალკეული კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემუშავდეს ერთჯერადი ტიპის ანკეტა/ კითხვარი და სხვა ფორმა.

ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კითხვარის, კვლევის დოკუმენტის ფორმის ინიცირება შეუძლია კოლეჯის სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს (თანამშრომელს, პროფესიულ სტუდენტს, პარტნიორს, დამსაქმებელს) და ის შეთანხმებული უნდა იყოს ხარისხის მართვის მენეჯერთან.

ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ მომზადებული სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების დოკუმენტი - კოლეჯის ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარედგინება დირექტორის ხარისხის მართვის მენეჯერის მიმდინარე და წლიური ანგარიშების სახით.